

„ვამტკიცებ“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჭადრაკის ფედერაციის

პრეზიდენტი

სალომე მელია

აჭარის ჩემპიონატი ჭადრაკში 8,12,16 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის

ქ. ბათუმი, 20.03.- 26.03.2021 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ჩატარების ადგილი: ქ. ბათუმი კომპლექსური სასპორტო სკოლის ჭადრაკის დარბაზი, მის: გორგილაძის 91.

ჩატარების სისტემა: ჩემპიონატი ჩატარდება ფიდეს წესებით, შვეიცარული ან წრიული სისტემით 7 ტურად.

ტურნირში ფიდეს-ს რეიტინგი არ დაითვლება.

აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას განსაზღვრავს ორგანიზატორი.

მონაწილენი: საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრი ჭაბუკები და გოგონები აჭარის ყველა რაიონიდან, **დაბადებულნი 2005, 2009 და 2013 წლის 1 იანვარს და შემდეგ.**

სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.

დროის კონტროლი: თითოეულ მონაწილეს მიეცემა 90 წუთი პარტიის ბოლომდე თითოეულ სვლაზე 30 წამის დამატებით.

თაი-ბრეიქი: თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში გამარჯვებულები გამოვლინდებიან კოეფიციენტის შემდეგი სისტემით:

შვეიცარული ტურნირის დროს:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი - 1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობა;
5. მოგებების რაოდენობა.

წრიული ტურნირის დროს:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. მოგებების მეტი რაოდენობა;
3. ზონებორნ-ბერგერის კოეფიციენტი;
4. თუ ყველა მაჩვენებელი თანაბარია, ფიდეს წესების მიხედვით ჩატარდება დამატებითი მატჩები.

რეგისტრაცია:

მონაწილეებმა რეგისტრაციისთვის უნდა შეავსონ შემდეგი ანკეტა: <https://forms.gle/gF2omPNUiTS0PuVr6> ასევე, უნდა გადმოაგზავნონ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის 2021 წლის საწევროს გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი 2021 წლის 19 მარტის 18.00 საათამდე:

ელ-ფოსტა - info@acf.ge 599 069497

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2021 წლის 19 მარტის 18.00 საათი.

რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები. ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელია საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის 2021 წლის საწევროს (24 ლარი) შეტანა შემდეგ ანგარიშზე საიდ. კოდი: 245424704 ს.ს.” საქართველოს ბანკი”, მფო BAGAGE22 ანგარიშის № GE95BG000000363099200

ტურნირის განრიგი:

ტური	დღე	დრო
I ტური	20 მარტი	14:00
II ტური	21 მარტი	14:00
III ტური	22 მარტი	14:00
IV ტური	23 მარტი	14:00
V ტური	24 მარტი	14:00
VI ტური	25 მარტი	14:00
VII ტური	26 მარტი	14:00

მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით ორგანიზატორი უფლებამოსილია მოახდინოს ტურნირის დაწყების დროის (საათი) შესაბამისი კორექტირება.

საერთო წესები:

ტურის დაწყებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.

პარტიის მსვლელობისას მობილურის დარეკვის შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება. ნებისმიერ მონაწილეს უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში, რომელიც არჩეული იქნება აჭარის ჩემპიონატის გახსნის ცერემონიაზე.

მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად აჭარის ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 20 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

გამარჯვებულები: - I, II, III საპრიზო ადგილებზე გასული მოჭადრაკეები, აჭარის სპორტის დეპარტამენტისა და აჭარის ჭადრაკის ფედერაციის მიერ დაჯილდოვდებიან მედლებით და დიპლომებით, ხოლო აჭარის 8,12,16 წლამდე ასაკის ჩემპიონი ჭაბუკი და გოგონა დაჯილდოვდება აგრეთვე თასით და მივლინებული იქნება ქ. თბილისში შესაბამისი ასაკის მოჭადრაკეთა საქართველოს ჩემპიონატზე.

არასაპატიო მიზეზით ტურნირის მიტოვების შემთხვევაში მონაწილე დისკვალიფიცირებული იქნება საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანების (#10. 20/01/2014 წ.) შესაბამისად.

ტურნირის დირექტორი: აჭარის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი სალომე მელია